



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 40/ს
26/01/2023

40-21-4-202301261156



ქ. ქუთაისში, ი/მ გივი იობიძეს სასარგებლო წიაღისეულის (ტემენიტისა და კირქვის ქვა) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ი/მ გივი იობიძეს მიერ გზშ-ის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ქუთაისში, სასარგებლო წიაღისეულის (ტემენიტისა და კირქვის ქვა) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, საპროექტო ტერიტორიაზე საწარმო უკვე მოწყობილია, შესაბამისად სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა საწარმოს ინსპექტირება და გამოვლენილ იქნა სამართალდარღვევა (სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობა), რაზეც კომპანიის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შესახებ ოქმი №073035.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ქვის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს ექსპლუატაცია დაგეგმილია ქ. ქუთაისში, სულხან საბას მესამე ჩიხი №2, ფ/კ მერაბი ტყემელიაძის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7 164 მ² ფართობის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 03.05.28.013), საიდანაც 944 მ² ფართობის ტერიტორია იჯარის ხელშეკრულებით სარგებლობაში გადაეცა ი/მ გივი იობიძეს. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: 1. X-307651, Y-4679349; 2. X-307650, Y-4679328; 3. X-307678, Y-4679316; 4. X-307690, Y-4679346. სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიას გარშემო ესაზღვრება არასასოფლო-სამეურნეო (სამეწარმეო დანიშნულების) მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაწილი უფუნქციო და ამორტიზებულია. იჯარით აღებული ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 210 მ-ით. ამავე საწარმოს ტერიტორიის ეზოში განთავსებულია ქვის სახერხი საწარმო. ტერიტორიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 190 მ-ის დაშორებით მდებარეობს საბავშვო ბაღი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში დაგეგმილია სველი მეთოდით წლიურად 120 ტ. ქვის გადამამუშავება, საიდანაც 100 ტ. იქნება ტემენიტის ქვა, ხოლო 20 ტ. შესაძლებელია იყოს კირქვა. სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო იმუშავებს წელიწადში 80 დღე, 1 საათიანი სამუშაო გრაფიკით. ობიექტზე დასაქმებულია 2 ადამიანი.

ტერიტორიაზე მოწყობილია საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო დანადგარები: ყბებიანი მსხვრევანა, დამხარისხებელი მბრუნავი ცხავი, პროდუქციის ბაქნები. პროექტის მიხედვით, ნედლეულად გამოღებული იქნება მცირე ზომის ტემენიტის ქვები, კირქვა

ან/და ხერხვის დროს მიღებული მცირე ზომის ნატეხები. ნედლეულის ტერიტორიაზე შემოტანა მოხდება უახლოესი ქვის დამამუშავებელი საწარმოებიდან, მათ შორის ტერიტორიის გვერდით არსებული ობიექტიდან, ხოლო კირქვის ნედლეულის შესყიდვა მოხდება ლიცენზირებული კარიერებიდან.

სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოში ინერტული მასალების გადამამუშავება მოხდება სველი მეთოდით. სკრინინგის განცხადების თანახმად, თავდაპირველად ნედლეული იყრება ყბებიანი სამსხვრევის წინ განთავსებულ ბუნკერში, საიდანაც მიეწოდება სამსხვრევს. სამსხვრევის თავზე მოწყობილია წყლის გამშხეფი, რომლითაც ხდება დასამტვრევი ქვის დანამვა. სამსხვრევიდან დამტვრეული ქვა ლითონის ღარით მიეწოდება ცილინდრულ მბრუნავ საცერს. საცერთან მოწყობილი ლითონის ღარის მეშვეობით, წვრილმარცვლოვან ღორღთან ერთად, ქვის დანამვის შედეგად წარმოქმნილი გამონაჟონი წყალი ჩაედინება ორმოში, რომელშიც გროვდება სველი ღორღი. აღნიშნული საცერი შედგება სამი სხვადასხვა ზომის (5 მმ, 15 მმ და 30 მმ) ცხურისაგან. შესაბამისად, ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიიღება ქვის 0-5 მმ, 5-15 მმ და 15-30 მმ ფრაქცია. უფრო მსხვილი ნატეხი ჩამოიყრება საცერის ბოლოდან ტრანსპორტიორზე და იყრება მსხვილი ფრაქციის ორმოში. ფრაქციებად გამოყოფილი ღორღი გროვდება საცერის ქვეშ განთავსებულ ხაროებში, საიდანაც მოთხოვნილების შესაბამისად ფასოვდება ტომრებში, ან გაიტანება ნაყარის სახით.

საწარმოში წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის. სასმელად გამოსაყენებელი წყალი შემოიტანება მარკეტიდან, ხოლო სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული იქნება მეიჯარის საყოფაცხოვრებო სათავსო, რომლის წყალმომარაგება ხდება ქალაქის წყალსადენის ქსელიდან. საწარმოო დანიშნულებით (ნედლეულის დანამვა, გამშხეფის საშუალებით) წყლის აღება ხდება მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭიდან (ლიცენზია: N1003570; 28.04.2016). ნედლეულის დანამვის შედეგად მოსალოდნელია მცირე რაოდენობით გამონაჟონი წყლის წარმოქმნა, რომელიც საცერის დასაწყისშივე მოხვდება ლითონის ღარზე და სველ ღორღთან ერთად გადავა ორმოში. სკრინინგის განცხადების მიხედვით, გამონაჟონი წყლის სიმცირიდან გამომდინარე, ორმოში წყლის დაგროვება არ ხდება. ორმოდან ღორღის ამოღება ხდება პერიოდულად, ავტოდამტვრთველის ციკხვის მეშვეობით. ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით, 1 ტ ქვის დასანამად საჭიროა 5 ლიტრამდე წყალი. შესაბამისად, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელ საწარმოში გამოყენებული წყლის წლიური რაოდენობა შეადგენს 0,6 მ³-ს (600 ლ). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება, ხოლო სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება მეიჯარის საყოფაცხოვრებო შენობაში მიერთებული ქალაქის საკანალიზაციო ქსელში.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. სახიფათო ნარჩენები (15 02 02* - აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრის ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთიერებებით) შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას. საწარმოს ექსპლუატაციის დროს ცალკეული მოწყობილობის რემონტისა და შეკეთების შედეგად შესაძლებელია მცირე რაოდენობის სხვადასხვა ნარჩენის (ლითონის ჯართის, სპეცტანსაცმლის, ასევე ზეთით დაბინძურებული მასალები) წარმოქმნა, რომელთა მართვა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (განთავსდება მყარი ნარჩენების კომპანიის ნაგავსაყრელზე ან/და ჩაბარდება ჯართის მიმღებ პუნქტებს). საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება

ტერიტორიაზე განთავსებულ სათავსოში, საიდანაც ნარჩენები გატანილ იქნება ააიპ ქუთაისის სპეციალურ სერვისებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. სკრინინგის განცხადების თანახმად, ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოყენებული ნედლეული მთლიანად, უნარჩენოდ გადადის პროდუქციაში, შესაბამისად საწარმოო ნარჩენის წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენს სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარები. საწარმოს საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელია არაორგანული მტვრის (SiO_2 -ის 20% -მდე შემცველობით) გაფრქვევა. საწარმოში იდენტიფიცირებულია გაფრქვევის 4 წყარო. სკრინინგის განცხადების შესაბამისად, გაანგარიშებულ იქნა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა (არაორგანული მტვერი) გაფრქვევის ინტენსივობა და დადგინდა, რომ წარმოების პროცესში ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია, როგორც უახლოესი საცხოვრებელი სახლის (210 მ), ასევე ტერიტორიიდან 190 მ-ის დაშორებით მდებარეობს საბავშვო ბაღის მიმართებაში არ გადააჭარბებს მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. გარდა ამისა, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება მოხდება სველი მეთოდით, რაც უზრუნველყოფს მსხვრევის დროს წარმოქმნილი მტვრის ნაწილაკების რაოდენობის შემცირებას. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპებზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება. ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები (სამსხვრევი და მბრუნავი საცერი). ლიტერატურული წყაროების მიხედვით, სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის მუშაობისას ხმაურის მაქსიმალური დონე აღწევს 95 დბა-ს. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან დაშორებულია 210 მ-ით, ხოლო უახლოესი საანგარიშო ობიექტი - საბავშვო ბაღი, 190 მ-ით. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი გაანგარიშების თანახმად საბავშვო ბაღთან ხმაურის დონე იქნება 32,86 დბა. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგების, ასევე საწარმოს განთავსების ტერიტორიასა და დასახლებულ პუნქტს შორის არსებული ხმაურშემაკავებელი ბარიერების (კაპიტალური შენობა-ნაგებობები) გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციით გამოწვეული ხმაურის დონე უახლოეს მოსახლესთან და საბავშვო ბაღთან მიმართებაში არ გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე წლების განმავლობაში გამოიყენებოდა სამეწარმეო დანიშნულებით. ტერიტორია მოშანდაკებულია, შესაბამისად ზემოქმედება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს დაცული ტერიტორიები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

ვინაიდან საწარმო მდებარეობს ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ზონაში და როგორც აღინიშნა მის მიმდებარედ ფუნქციონირებს ქვის სახერხი საწარმო, მოსალოდნელია გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება. სკრინინგის განცხადების თანახმად, ვინაიდან აღნიშნულ ქვის სახერხ საწარმოში ქვის დამუშავების პროცესი სველია, ხოლო საპროექტო სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის ფუნქციონირებისას წარმოქმნილი მტვრის ოდენობა - მცირე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების მაჩვენებლების დასაშვებ ნორმებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, სკრინინგის განცხადების მიხედვით, მიმდებარედ არსებული საწარმოს ტექნოლოგიური

დანადგარები განთავსებულია კაპიტალურ შენობებში, ასევე, საწარმოს ტერიტორიასა და დასახლებულ პუნქტებს შორის განთავსებულია არაერთი ხელოვნური ბარიერი (ღობები, შენობა-ნაგებობები), ხე-მცენარეების ზოლი. შესაბამისად, ხმაურის კუთხით, ფონურ მდგომარეობაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ საქმიანობის ადგილმდებარეობისა და საქმიანობის მასშტაბის გათვალისწინებით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი) საწარმოს ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს ქ. ქუთაისში, ი/მ გივი იობიძეს სასარგებლო წიაღისეულის (ტემენიტისა და კირქვის ქვა) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ი/მ გივი იობიძე ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ი/მ გივი იობიძეს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ გივი იობიძის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო